ეროვნული ბიბლიოთეკა

ივერია

„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა,
მე ვარო შენი თანამდევი უკვდავი სული!"

№ 10, 1989 წლის 3 ივლისი

კონფლიქტი ქვემო ქართლში

ივნისის ბოლო კვირაში მარნეულის, ბოლნისის და დმანისის რაიონებში უაღრესად დაიძაბა ურთიერთობა ქართულ და აზერბაიჯანულ მოსახლეობას შორის. რიგ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ შეტაკებებს, ათობით ადამიანი დაიჭრა, არის მსხვერპლიც.

მარნეულში ჩატარებულ არასანქცირებულ მიტინგზე აზერბაიჯანელებმა მოითხოვეს ავტონომიის მინიჭება და საქართველოს მთავრობის ჩაურევლობა(!) ამგვარი ავტონომიური წარმონაქმნის „საშინაო საქმეებში"!!! ქართული მოსახლეობა მოითხოვს აზერბაიჯანელთა გასახლებას საქართველოდან. სომეხთა წარმოგზავნილებმა იქაურ ქართველობას შესთავაზეს დახმარება ხალხითა და იარაღით, ფაზეც ზრდილობიანი უარი მიიღეს. სამივე რაიონის თითქმის ყველა ქართულ და რიგ აზერბაიჯანულ სოფლებში ჩაყენებულია საქართველოს შსს ჯარები და მილიცია, ჩვენი მონაცემებით – 10 000 კაცამდე. საავტომობილო გზებზე მიმოდიან საპატრულო ჯავშანტრანსპორტიორები. პირველი ივლისისათვის სამივე რაიონში ვითარებას აკონტროლებს მილიცია.

რაღა თქმა უნდა, შექმნილი მდგომარეობა განპირობებულია კრემლის და მისი თბილისელი მარიონეტების მიერ ათწლეულების მანძილზე წარმოებული გეგმაზომიერი და მიზანსწრაფული ანტიქართული პოლიტიკით, რაც გამოიხატება ქართველთა ყოველმხრივი დისკრიმინაციით და აზერბაიჯანელთათვის სასათბურო პირობების შექმნით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე კონფლიქტის აფეთქება გარედან ინსპირირებული უნდა იყოს. ამას გვაფიქრებინებს მოვლენათა განვითარების ანალიზიც და, განსაკუთრებით, აზერბაიჯანელი მოსახლეობის დღევანდელი სულიერი განწყობილება – მათი უმრავლესობა უაღრესად შეშფოთებულია შექმნილი ვითარებით, ქართველ მილიციელებს სთხოვს – არ დასტოვონ მათი სოფლები და, თუ ეს აღმოსავლური თვალთმაქცობა არ არის, იფიცება: ქართველებს ყველაფერში დაგემორჩილებით, ჩვენს შვილებს მძევლებად მოგცემთ(!) ოღონდ ჩვენს შორის მშვიდობა ჩამოვარდესო!

ჯერჯერობით ხელაღებით ვერ ვიტყვით – ვისი ინსპირირებულია აღნიშნული კონფლიქტი, რადგან ამით სხვადასხვა ძალებია დაინტერესებული: ესაა კრემლი, რომელსაც ყოველთვის აწყობს ქართველთა ჩათრევა ერთაშორის კონფლიქტში (დავაკვირდეთ ჯაჭვს: აფხაზები, ოსები, და ახლა აზერბაიჯანელები) და ამით ქართველი ერის ბრძოლისუნარიანობის დაქვეითება მისი მთავარი მტრის – დამპყრობელი რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში; ესაა როდიონოვების პარტია – რუსული სამხედრო მანქანა, რომელსაც კბილები უკაწკაწებს, ისე უნდა ამბოხებული ქართველების ტანკებით დაჭყლეტა; ესაა ჩვენი მეზობელი სომხობა, რომელიც კრემლის მეცადინეობით ჩათრეული აღმოჩნდა აზერბაიჯანელებთან ბრძოლაში და ახლა, ბუნებრივია, მოკავშირეს ეძებს; დაბოლოს ესაა პანისლამიზმის იდეის მატარებელი ფანატიკოსები, რომლებიც სერიოზულად არიან შეშფოთებულნი ქვემო ქართლში უკანონოდ ჩასახლებული აზერბაიჯანელების საქართველოდან გაძევების პერსპექტივით. რაკილა ამდენი „კეთილმოსურნე" ჰყავს ქვემო ქართლში ერთაშორისი ურთიერთობის შემდგომ გამწვავებას, ცხადია, მდგომარეობა რთულზე რთულია!

ამასთანავე, კონფლიქტის ესკალაცია ეწინააღმდეგება როგორც ქართველთა, ისე აზერბაიჯანელთა ინტერესებს. აზერბაიჯანი ფაქტიურად სამკვდრო-სასიცოცხლო მტრობაშია სომხეთთან და თუ დღეს მათ შორის საომარი მოქმედებები არ მიმდინარეობს, ეს მხოლოდ ორივე რესპუბლიკაში სამხედრო მდგომარეობის გამოცხადებით აიხსნება; ასე რომ, აზერბაიჯანელებს სულაც არ აწყობთ ჩვენი მტრად მოკიდება!

მეორეს მხრივ, არც ჩვენ გვაწყობს აზერბაიჯანელ, თუ სხვა რომელიმე ერთან დაპირისპირება, რადგან ჩვენი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა დამპყრობლების წინააღმდეგაა მიმართული და ქართული ეროვნული ენერგიის გაფანტვა მხოლოდ ზიანის მომტანი იქნება. ამასთანავე, ქვემო ქართლში შეიქმნა სრულიად მოუთმენელი ვითარება, რომლის გამოსასწორებლადაც აუცილებელია გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

I. ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის განხორციელების მიზნით –
ა) ყველა დაწესებულებაში საქმისწარმოება დაუყოვნებლივ უნდა გადავიდეს ქართულ ენაზე.
ბ) არამხოლოდ ხელმძღვანელი თანამდებობებიდან, არამედ მოსახლეობის მომსახურების სფეროდანაც დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდნენ ის პირები, რომლებიც სრულყოფილად არ ფლობენ ქართულ ენას.
II. არსებული კანონმდებლობის დარღვევის აღკვეთის მიზნით ჩამოერთვას აზერბაიჯანელ მოსახლეობას –
ა) ცეცხლსასროლი იარაღი,
ბ) კანონის დარღვევით მიღებული თუ მითვისებული მიწის ნაკვეთები და მათზე აშენებული სახლები.
III. ქვემო ქართლში ქართველი ერისათვის კრიტიკული დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორების მიზნით –
ა) გადატანილ იქნას თბილისიდან ქალაქ მარნეულში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და ქალაქ ბოლნისში – ზოოვეტერინარული ინსტიტუტი.
ბ) სამივე რაიონში სასწრაფოდ ჩასახლდნენ სტიქიისაგან დაზარალებული სვანეთისა და ზემო იმერეთის მკვიდრნი.
გ) სამივე რაიონის ქართულ მოსახლეობას დაუყოვნებლივ გამოეყოს კუთვნილი მიწის ნაკვეთები.
IV. აზერბაიჯანელთა სამშობლოში დაბრუნების ეკონომიური სტიმულირების მიზნით
ა) ხელისუფლებამ უნდა გამოყოს თანხები კანონიერად აშენებული სახლების შესასყიდად იმ აზერბაიჯანელთაგან, რომელნიც გამოთქვამენ სამშობლოში დაბრუნების სურვილს.
ბ) თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქების ბაზრებში უნდა მოისპოს აზერბაიჯანელთა ჰეგემონია.
V. შემოღებულ უნდა იქნას საქართველოს სსრ მოქალაქეობა.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნა, რაღა თქმა უნდა, ადვილი შესასრულებელი არ არის და დიდძალ თანხას, შრომას და წვალებას მოითხოვს, მაგრამ, ჩვენის აზრით, თუ დღეს მთელი ქართველი ხალხი არ დაირაზმა აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად, ქვემო ქართლში შექმნილი უაღრესად დაძაბული მდგომარეობის გამოსწორება მეტისმეტად გაძნელდება.

ზურაბ ჭავჭავაძე

* * *

ილია ჭავჭავაძის ბედი დაჰყვა მისი სახელობის საზოგადოებას! დიდი ილიას მსგავსად, ჩვენც გაუთავებლად გვლანძღავენ, ათასგვარ საძაგლობას გვიგონებენ და ჩირქსა გვცხებენ, რათა სახელი გაგვიტეხონ და დაბნეული ხალხი აგვიმხედრონ!!! რაღას აღარ გვაბრალებენ! გეგმაზომიერად ავრცელებენ ცილისწამებას, თითქოს ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას სურდეს საქართველოში თურქების ჩამოსახლება და ამისათვის ხელმოწერებსაც კი აგროვებდეს. სამწუხაროდ, ზოგიერთს მიამიტურად სჯერა ეს სიცრუე. თურქების ჩამოსახლება შეუძლებელია სურდეს რომელიმე ქართველს! რაც შეეხება 1944 წელს სამცხე-ჯავახეთიდან გასახლებულებს, მათ მიმართ ჩვენ გვიკავია ქართული ინტელიგენციის და ადამიანის უფლებათა დამცველი მოძრაობის მიერ წლების განმავლობაში შემუშავებული პოზიცია, რაც გამოიხატება შემდეგში:

1944 წელს საქართველოდან გაასახლეს ქართველებიც (მესხები) და არაქართველებიც (თურქები, ქურთები და სხვ.). გასახლებულ ქართველთა მნიშვნელოვანი ნაწილი საუბედუროდ გადაგვარდა, ქართველობა დაკარგა და თურქობა დაიწყო. მაგრამ გასახლებულთა შორის არიან ქართველები, რომელთაც შეინარჩუნეს თავიანთი ქართველობა და სამშობლოს სიყვარული. სწორედ, აი, ამ ნაწილის სამშობლოში დაბრუნება გვსურს ჩვენ, თანაც ეს დაბრუნება უნდა მოხდეს არა ერთბაშად, არამედ თანდათანობით, საქართველოში არსებული მძიმე ვითარების გათვალისწინებით. ჩვენი აზრით, სამშობლოში დაბრუნებული ქართველები უნდა განსახლდნენ იმ ქართულ სოფლებში (სამცხე-ჯავახეთის გარდა), სადაც არსებობს საამისო პირობები და სადაც ეს არ გამოიწვევს ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობას.

აღნიშნული თვალსაზრისი ეყრდნობა ერისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ცივილიზებულ სამყაროში მიღებულ ელემენტარულ ნორმებს. რაც შეეხება ფართოდ გავრცელებულ ხმას, რომ, თითქოს, ჩვენ ვაგროვებთ ხელმოწერებს გასახლებულთა დაბრუნების მოთხოვნით, ეს მტკნარი სიცრუეა:

არავითარი ხელმოწერები ვინმეს ჩამოსახლებისათვის ჩვენ არ შეგვიგროვებია!

ამის შესახებ გავრცელებული ხმები, თუ ცალკეულ პირთა განცხადებები, წმინდა წყლის მონაჭორი და პროვოკაციაა, რომელიც შესაძლოა მომდინარეობდეს უშუალოდ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტიდან. გთხოვთ, არ აჰყვეთ ამ დეზინფორმაციას!

ბევრი მოქალაქე დაინტერესებულია იმით, თუ როგორ მოხერხდება გასახლებული ქართველებისა და თურქების გარჩევა და მოგვცემს თუ არა მოსკოვი ამგვარი შერჩევის უფლებას. რაც შეეხება ჩამოსასახლებელთა შერჩევას, ამაში უნდა გამოვიყენოთ სამშობლოში ადრე დაბრუნებული პატრიოტი მესხები, რომლებიც კარგად იცნობენ იქაურებს და შერჩევაში პრაქტიკულად არ შეცდებიან. ხოლო თუკი შერჩევის უფლებას ვერ მოვიპოვებთ, სწორედ მაშინ უნდა ვთქვათ უარი ყოველგვარ ჩამოსახლებაზე. მხოლოდ მაშინ ვიქნებით მართლები მესხთა წინაშეც, საკუთარი სინდისის წინაშეც და მსოფლიო დემოკრატიული აზრის წინაშეც.

ბევრს ისიც აბრკოლებს, რომ გასახლებული მესხები მაჰმადიანები არიან. ურიგო არ იქნება, თუ ამ შემთხვევაშიც ჩვენი ერის სულიერ მამას – წმინდა ილია მართალს მოვუსმენთ: „...მძლავრობამ, მუხთლობამ, ღალატმა, შავით მოსილმა საქართველოს ბედმა განგვაშორა ჩვენ, ძმები – ერთად სისხლის მღვრელნი, ერთად ღვაწლის დამდებნი, ერთად ტანჯულნი და ერთად მოლხინენი... სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს. ქართველმა, თავისის სარწმუნოებისათვის ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც... არ გვაშინებს-მეთქი ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენს ძმებს, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ, და ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანასა, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინიდისს და დიდის ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს. თვის პატიოსანს და ღმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდენს თვალში სიხარულის ცრემლმორეული ქართველი! (ილია ჭავჭავაძე, ოსმალოს საქართველო).

ქართველი ერისათვის ხსნის ერთადერთი გზა არსებობს – ესაა დიდი ილიას მიერ მონიშნული, ტრადიციულად ეკალ-ბარდებით მოფენილი გზა!

არ არსებობს ძალა, რომელიც აიძულებს ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას, უღალატოს ქართველთა დიდი მოძღვრის მრწამსსა და გეზს!!!

გაზ. „მოსკოვსკიე ნოვოსტის" 26 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულია ფოტო, რომელზეც აღბეჭდილია ქართველ წვევამდელთა საქართველოში დატოვების მხარდამჭერი მანიფესტაცია. კომენტარი კი გვამცნობს, თითქოს ეს იყოს მესხთა რეპატრიაციის მოწინააღმდეგეთა გამოსვლა. ქართველი ერის მტრების ჩანაფიქრი მარტივი და ნათელია: მათ უნდათ გააღვივონ ანტიმესხური ისტერია ქართველებში და ანტიქართული – მესხებში, ძმა თუ ძმას საშვილიშვილოდ გადაეკიდა, მტერს მეტი რა უნდა?! თვითმხილველთა მოწმობით, დეფიციტური „მოსკოვსკიე ნოვოსტის" აღნიშნული ნომერი მესხთა თითქმის ყველა ოჯახს ჰქონია. სჩანს, ეს იმ მიზნით გაკეთდა, რომ ისინი თვალნათლივ დარწმუნდნენ მათი ბედის მიმართ ქართველობის გულგრილობაში. სხვათაშორის, აღნიშნული გაზეთი მსოფლიოს მრავალ ენაზე გამოდის და ბევრ ქვეყანაშიც ვრცელდება.

უფლება თავისა

კახაბერ კახაძე

ქართველობა ეროვნული ინტერესების დამცველი სახელმწიფოს გარეშე ბუნებრივი ჯავშნიდან გამოგდებულ კუს წააგავს. ეს ჯავშანი ანუ სახელმწიფო მას მოძალადემ წაჰგვარა, რათა უფრო ადვილად შესანსლოს იგი. ამიტომაა, რომ მისი ეროვნული წინსვლა დაუცველობისა და მუდმივი შიშის გამო ასევე კუს ნაბიჯით ხდება.

'ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორია ათასწლეულებს ითვლის. სახელმწიფო ისეთივე ბუნებრივი და აუცილებელი ნაწილია ეროვნული ორგანიზმისა, როგორც ჯავშანი და თავი ბიოლოგიური არსებისათვის. სახელმწიფო მხოლოდ ექსპლოატაციისა და ძალმომრეობის იარაღი როდია, როგორც ამას ჩაგვჩიჩინებენ, იგი უპირველეს ყოვლისა ერის საგარეო და შიდა ფუნქციების განხორციელების საშუალებაა.' ეროვნული სახელმწიფო საუკუნეთა მანძილზე ბუნებრივი განვითარება-ევოლუციის გზით ყალიბდებოდა.'

დამპყრობელმა ჯერ 1801 წ. დატოვა ქართველობა სახელმწიფოს გარეშე, ხოლო შემდეგ 1921 წ. თებერვალში. 1801 წლიდან მოყოლებული საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა არ ჩამცხრალა. ქვეყნის მხსნელად მოვლენილმა წმინდა ილია მართალმა წარმოუდგენელი შეძლო და რთულ პირობებში ერს სახელმწიფოებრიობის გარკვეული ფორმები შესძინა - განათლების, კულტურის, ფინანსების და სხვა სფეროებში. მისი მოღვაწეობის მანძილზე ქართველობა ნამდვილი დამოუკიდებლობისათვის ემზადებოდა.'ამ პროცესს წინწამურის ტრაგედიამ შეუშალა ხელი. ილია ჭავჭავაძე მოჰკლეს ქართველი ერის ბუნებრივი განვითარების მტრებმა.'ამ სისხლიანი აქციის შემდეგ რსდმპ-ს ორივე ფრაქციამ ლაღად იგრძნო თავი. შვებით ამოისუნთქა მეფის "ოხრანკამაც". ყოველგვარი კომისიის გარეშეც აშკარაა, რომ ეს ორი ძალა საქართველოში ხშირად ხელიხელჩაკიდებული მოქმედებდა ხოლმე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეროვნულ გამოღვიძებას შეეხებოდა. დაიწყო ქართველობისთვის სრულიად მიუღებელი თეორიების გავრცელება. უფრო სწორად, მისი ზედაპირული დანერგვა გარკვეულ სოციალურ ფენებში. პარალელურად იზრდებოდა ჭავჭავაძისეული ხე სახელმწიფოებრიობისა. ამ ნატვრის ხის განვითარებას ვერ აცერხებდა სოციალ-დემოკრატთა, განსაკუთრებით ბოლშევიკთა ანტიეროვნული, ნიჰილისტური პოზიცია. მაშინ მათ აშკარად დაიწყეს ამ ხის ტოტების მტვრევა. ქართული სახელმწიფო მათ სრულიად ზედმეტად მიაჩნდათ.

1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ იმპერიული მარწუხები მოეშვა, თუმცა, არც რუსეთის დემოკრატიული ხელისუფლება აპირებდა "ხალხთა საპყრობილედან" პატიმართა განთავისუფლებას. მიუხედავად ამისა ეს პროცესი ვითარდებოდა - იმპერიული სისტემა სულს ღაფავდა. საფიქრებელია, რომ ოქტომბრის გადატრიალებას გარკვეულად ამანაც შეუწყო ხელი. ხელისუფლების სათავეში მოსულები ყოფილ პატიმარ ერთა მიმართ უფრო მტკიცე ხელისანი ჩანდნენ. ისინი ეროვნულ თვითგამორკვევას მსოფლიო პროლეტარიატის ინტერესებით ჩქმალავდნენ. მონარქიულ იმპერიალიზმს ახალი პოლიტიკური შეფერილობა ეძლეოდა. მაგრამ რუსეთში სამოქალაქო ომი გაჩაღდა და ამ პოლიტიკამ დროებით მეორე პლანზე გადაინაცვლა. ომში შესვენებათა დროს საბჭოთა რუსეთი ახალ საიმპერიო პოლიტიკას ანხორციელებდა. სწორედ ამ პოლიტიკის ნაყოფია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსია 1921 წელს.

რას საქმიანობდა რუსეთის მუშათა პარტიის განაყოფი ქართველი სოციალ-დემოკრატია? 1917 წლის ოქტომბრის შემდეგ ქართველმა ლიდერებმა ამ პარტიისა სამშობლოს მოაშურეს. მათ შეძლებისდაგვარად იწყეს მათ მიერვე ტოტებდამტვრეული ჭავჭავაძისეული სახელმწიფოებრიობის ხის მოვლა-პატრონობა. მათ დაივიწყეს ეროვნული ნიჰილიზმი და მსოფლიო პოლიტიკური ვითარების წყალობით კალთაში ჩავარდნილ დამოუკიდებლობას ჯერ გაოცებული, ხოლო შემდეგ მზრუნველი თვალითაც კი დაუწყეს ცქერა. გადაგვარებული, უერო, უსამშობლო და მსოფლიო პროლეტარიატის ინტერესებისათვის თავდადებული სოციალ-დემოკრატები, სამარცხვინო მესამე დასელები რამდენადმე შეიცვალნენ: გული გაუთბათ, გონზე მოვიდნენ, დედა-სამშობლო იცნეს და ადამიანებს დაემსგავსნენ.

1918 წ. 26 მაისს აღდგა ქართული სახელმწიფო - თავის საზღვრებით, მთავრობით, არმიით, პოლიციით, სხვა სახელმწიფო დაწესებულებებით, მოკლედ, მისი ყველა ფუნქციით. თანამედროვე მსოფლიოს სოციალ-დემოკრატია უაღრესად ეროვნული გახდა. სხვაგვარად ეს პარტიები რეალურად ვერ მოიკიდებდნენ ფეხს ევროპულ ქვეყნებში. ისინი თითქმის განიკურნენ ძველი კლასობრივი დაავადებისაგან.

ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფუნქციონირებისას, საუბედუროდ, ვერ შეძლეს სრულფასოვანი განკურნება ძველი დაავადებისაგან. საბჭოთა რუსეთის ძალადობასთან ერთად, აღნიშნულმა პოლიტიკურმა პათოლოგიამ უთუოდ გარკვეული როლი შეასრულა ქართული სახელმწიფოს დაცემის საქმეში.

ფიცი გვწამს...

ეროვნული მოძრაობის ძალებს შორის არაჯანსაღი დამოკიდებულება მხოლოდ ამ მოძრაობის მტრებს აძლევს ხელს. საზოგადოებრიობა, რომელიც კარგად გრძნობს ეროვნული მოძრაობის უდიდეს პოლიტიკურ მნიშვნელობას, ამ ვითარებით მეტისმეტად შეშფოთებულია. ხშირად გაისმის საყვედურები იმის გამო, რომ სხვადასხვა არაფორმალური გაერთიანებების ხელმძღვანელებს ვერ მოუხერხებიათ არათუ კონსოლიდაცია, არამედ მოლაპარაკების მაგიდასთან მიჯდომაც კი. ამგვარ საყვედურს უმეტესად ის ადამიანები გამოთქვამენ, რომლებიც სხვადასხვა მიზეზთა გამო საქმეში ჩახედულნი არ არიან. მაგრამ აქ მთავარი ისაა, რომ საკითხი მართებულადაა დასმული და საზოგადოებრიობის დიდი გულისტკივილის გამომხატველია. განვმარტავთ ჩვენს პოზიციას:

საქმე ისაა, რომ მოლაპარაკებას მაშინ აქვს აზრი, როდესაც მხარეები დაინტერესებულნი არიან ჭეშმარიტების გარკვევით. მაგრამ როდესაც ერთი მხარე განზრახ, შეგნებულად ცრუობს, დეზინფორმაციას და ცილისწამებას ავრცელებს მეორე მხარის შესახებ, როდესაც ფაქტებს განზრახ, შეგნებულად ამახინჯებს, ცხადია, მოლაპარაკება შეუძლებელი ხდება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ დეზინფორმაციის და ცილისწამების გამავრცელებელი არაა დაინტერესებული სიმართლის გარკვევით.

აი, სულ ახალი, თვალსაჩინო მაგალითიც: 29 ივნისს, დაახლოებით 23 საათზე, თბილისში კინოს სახლთან ათასობით მოქალაქის წინაშე სიტყვით გამოვიდა ზ. ზვიად გამსახურდია და შეკრებილთ ამცნო, რომ, თითქოს, სამტრედიის რაიონში შემოიჭრა უზბეკეთიდან ლტოლვილ თურქთა 130 ოჯახი, რომელთაც სტიქიისაგან დაზარალებული სვანებისათვის აშენებული სახლები მიიტაცეს!: შემდეგ ბრალი დასდო ამაში ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას, თ. ჩხეიძე და ზ. ჭავჭავაძე შეაჩვენა და გამოაცხადა ისინი - არც მეტი, არც ნაკლები - მტრებად და მოღალატეებად!!!

სამტრედიაში თურქები მართლაც რომ ჩაესახლებინათ, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ლანძღვა რა შუაშია, განა თავად ჩვენ ამის კატეგორიულად წინააღმდეგნი არა ვართ?!

ხალხის მტრის იარლიყის მიკერებით საბჭოთა იმპერიაში ვერავის გააკვირვებ: ლენინი, სტალინი და სხვა კომუნისტი ბელადები ხალხის მტრებად აცხადებდნენ არა მხოლოდ თავიანთ პოლიტიკურ ოპონენტებს, არამედ ყველას, ვის განადგურებას ან რეპრესირებასაც ისინი განიზრახავდნენ. სხვათაშორის, ხალხის მტრებად გამოაცხადეს 1944 წელს საქართველოდან გასახლებული მესხებიც! სამოცდაათიან წლებში თვითონ ზ. გამსახურდიასაც, რომელიც მაშინ მესხთა ჩამოსახლებისათვის იბრძოდა, ხალხის მტრის იარლიყი მიაკერეს! 1987 წელს საქართველოს კომპარტიის მაშინდელმა პირველმა მდივანმა ჯ. პატიაშვილმა ხალხის მტრები გვიწოდა ყველას, ვინც ტრანსკავკასიის სარკინიგზო მაგისტრალის აშენების წინააღმდეგ ვიბრძოდით. მაგრამ ცივილიზებული საზოგადოებისათვის ამ არათუ მიუღებელ, არამედ ყოვლად წარმოუდგენელ ხერხს დღემდე მხოლოდ წითელი ბელადები მიმართავდნენ, ახლა კი საქართველოს ჰელსინკის ჯგუფის და წმინდა ილია მართლის საზოგადოების ერთერთი ლიდერი, ცნობილი დისიდენტი ბ. ზ. გამსახურდია ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წინააღმდეგ იგივე მეთოდს მიმართავს!!! თავისთავად ეს ფაქტი (როგორიც არ უნდა იყოს სიმართლე სამტრედიაში თურქთა შეჭრის შესახებ) ფრიად და ფრიად შემაშფოთებელია, რადგან საზოგადოებრივ ცნობიერებაში ნეობოლშევიზმის ვირუსის შეჭრის მომასწავებელია.

მაგრამ დავუბრუნდეთ კვლავ სამტრედიაში თურქების ჩასახლების „ფაქტს": 29 ივნისს საღამოზე ზ. გამსახურდიამ თურქების ჩამოსახლებისათვის ხომ ჩვენ შეგვაჩვენა(!) და პატრიოტ მესხს - ჩახო ჩიტაძეს (რომლის მეცადინეობითაც სამოციან წლებში შუა აზიაში შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა დაარსდა) თურქების აგენტი უწოდა, მეორე დილას - 30-ში იმავე კინოს სახლთან კვლავ წარსდგა შეკრებილთა წინაშე და წინა საღამოს მიწოდებულ ინფორმაციაში „მცირედი" შესწორება შეიტანა: თურმე, ნუ იტყვით, სამტრედიაში 130 ოჯახი კი არ ჩასახლებულა, არამედ - 22; ისინი სვანებისათვის განკუთვნილ სახლებში კი არ შეჭრილან, არამედ დიდი ხნით ადრე იყო მათი ჩამოყვანა დაგეგმილი და მათთვისვე აშენდა სახლები; ამასთან - თურქები კი არ ყოფილან, არამედ ნაღდი ქართველები, თანაც, ჰოი საოცრებავ, ჩახო ჩიტაძეც და სხვა მესხებიც, თურმე, ქრისტიანულად ინათლებიან კიდეც! სწორედ ამ შემთხვევაზე ითქმის - კომენტარი ზედმეტია!!!

* * *

ჩვენ ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ბ. ზ. გამსახურდია თვითონაც იბრძოდა მესხთა ჩამოსახლებისათვის. არ იფიქროთ, რომ დიდი დრო გავიდა, რაც მან პოზიცია შეიცვალა. აი, რას ამბობდა იგი ორიოდე კვირის წინ:

"წმინდა ილია მართლის საზოგადოების პროგრამაში შედის ქართული ორიენტაციის მესხების ჩამოსახლება, იმათი, რომლებიც ქართველობენ და პასპორტში აღიდგენენ ქართულ გვარსა და ეროვნებას, ხოლო ვინც თავის თავს თურქად თვლის, მათთან ვატარებთ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას, განვუმარტავთ განსხვავებას რელიგიასა და ეროვნებას შორის. და თუ ასეთი განმარტებანი შედეგს არ გვაძლევს, მაშინ მათ თურქეთში ემიგრაციას ვურჩევთ".(გაზ."თბილისი", 7 ივნისი, 1989 წ.)

განა, აბა, გასაოცარი არ არის, ამ სიტყვების ავტორი ჩვენ მტრებსა და მოღალატეებს რომ გვიწოდებს?! ციტირებული სიტყვები ხომ ზედმიწევნით კარგად გადმოსცემს ჩვენს პოზიციასაც?! თვითონ ზ. გამსახურდიაც ხომ წლების მანძილზე და სულ ბოლო დრომდე, ამ თვალსაზრისზე იდგა და მესხთა ჩამოსახლებას აქტიურად მოითხოვდა! რა ვქნათ ახლა ჩვენ, მტერი და მოღალატე ვუძახოთ ამისათვის?! დავუშვათ და, ისეთი რამ შეიტყო, რაც ადრე არ იცოდა და ჩვენთვის არც ახლაა ცნობილი, საინტერესოა, როგორ ფიქრობს - თვითონ სამშობლოს მიმართ წლების მანძილზე მტრულ და მოღალატურ საქმიანობას ეწეოდა?! არადა, ახალი რა შეიტყო ისეთი, დიამეტრალურად რომ შეიცვალა პოზიცია: ჯერ კიდევ 18 ივნისს ბორჯომში ჩატარებულ მიტინგზე იგი მესხთა ჩამოსახლების მომხრე იყო, მაგრამ 20 ივნისს კინოსტუდიაში უკვე სრულიად საპირისპირო მოთხოვნით გამოვიდა და ჩვენი საზოგადოების ლანძღვას შეუდგა! რით აიხსნება ეს, თუ არა ახირებული სურვილით: ნებისმიერ ფასად, ცილისწამებითა და ჭორებით სახელი გაუტეხოს ჩვენს საზოგადოებას.

* * *

ცხადია, კონსოლიდაციის საქმეს მაშინ დაადგება საშველი, როცა ყველა შეიგნებს, თუ რაოდენ დამღუპველია არაჯანსაღი ურთიერთობა, როდესაც ყველა გაიხსენებს, რომ ცილისწამება და ამპარტავნება უდიდეს ცოდვად ითვლება ქრისტიანობაში და, ბოლოსდაბოლოს, თავს დაანებებს ამ სულისა და ხორცის წამწყმედ საქმიანობას.

---

* * *

გრძელდება ქართული მიწის ხელყოფა რუსი იმპერიალისტებისა და გადაგვარებული ქართველების მიერ.

...სოხუმთან ახლოს, ვარჩაში, ტოლიატის ქარხანა იშენებს დასასვენებელ სახლს. რუსი კოლონიზატორების თავხედობა იქამდეც კი მიდის, რომ ქარხნის ფილიალის თანამშრომლებს აიძულებენ მის მშენებლობაზე შაბათობები მოაწყონ, ე.ი. უფასოდ იმუშაონ...

...მოსკოვის სახტელერადიო (ასე ურცხვად რომ ამახინჯებდა 9 აპრილის ამბებს) გუდაურში აშენებს სასტუმროს და ქმნის კოოპერატივ "პოდრიადს"...

...ბოლო ორი წლის განმავლობაში მიწები გაიყიდა ლაგოდეხის რაიონში, სოფ. ბაისუბნის ტერიტორიაზე, სადაც ჩამოსახლებულები არიან აზერბაიჯანელები...

* * *

ხშირია შემთხვევა რუსის უზნეო ჯარში ქართველი ახალგაზრდების წამებით სიკვდილისა. დაღუპულის ოჯახში კუბოს ყოველთვის მოყვება სამხედრო წარმომადგენელი, რომელიც მისი გახსნის ნებას არ იძლევა. ეს, რა თქმა უნდა, კეთდება დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით; ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვთხოვთ, თუ კი გაიგებენ ასეთ შემთხვევას, დაუყოვნებლივ გვაცნობონ ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში დასაფლავებამდე რამდენიმე დღით ადრე, რათა შევძლოთ სამხედროების წინააღმდეგობის გადალახვა და სამედიცინო-სასამართლო ექსპერტიზის ჩატარების ორგანიზება.

ყურადღება!

ყოველ ხუთშაბათს 19 საათზე ვაკის პარკში შადრევნის გვერდით ილია ჭავჭავაძის საზოგადოება მართავს შეხვედრებს დაინტერესებულ საზოგადოებრიობასთან, სადაც მიიღებთ ინფორმაციას გასული კვირის შესახებ და მომავალი კვირის გეგმებზე, აგრეთვე პასუხებს თქვენთვის საინტერესო კითხვებზე. აქვე შეგიძლიათ მიიღოთ გაზეთ "ივერიის" მორიგი ნომერი.

რედაქტორი თამარ ჩხეიძე /ტელ: 23-38-84/
სარედაქციო კოლეგია: ანზორ აბჟანდაძე, გუჯა ამაძიძე, იოსებ განძელაძე /ტელ: 66-27-27/, კახაბერ კახაძე, ზურაბ ჭავჭავაძე /ტელ: 39-14-16/.